# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 328

„ 6 ” ნოემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის №20.1252.1548 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის  IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33

| N | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი (კვ.მ) | სართული, ბინის № | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქეთო სირაძე | 01010014806 | 130.06 | სართული 1, ბინა №1 | 01.14.16.012.012.02.001 |
| 2 | ეკატერინე სირაძე | 01010016362 | 103.91 | სარდაფი | 01.14.16.012.012.02.501 |